თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3391018

ნომერი: AR1518306

თარიღი : 28.06.2017

გაცემის თარიღი : 12.07.2017

გაცნობის თარიღი : 11.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 23 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე ტყეშელაშვილი პ/ნ 31001047329
- ბაგები, წყნეთის გზატკეცილი, III ჩიხი, N5

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1518306 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი #23-ში, #01.14.07.002.006 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირების არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 01 სექტემბრის #2811692 ბრძანებით ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი #23-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი #01.14.07.002.006) შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

2017 წლის 20 ივნისის #AR1514792 ელექტრონული განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე გიული ხაზალიამ და მოითხოვა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განხორციელებული მშენებლობის დადასტურება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურის 2017 წლის 26 ივნისის #3352539 გადაწყვეტილებით მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც აღნიშნულის დადასტურება არ მომხდარა.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი #23-ში (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ #2811692 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით ინტერაქტიული რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.
